აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი

საბჭოს წევრის ლაშა სირაბიძის

2023 წლის საგაზაფხულო სესიიდან 2024 წლის საგაზაფხულო

სესიამდე გაწეული საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდში, როგორც უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ვეწეოდი საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ საქმიანობას. ვესწრებოდი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და კომიტეტების სხდომებს.

უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, როგორც წესი, წინასწარ ამზადებს საკანონმდებლო საკითხებს, ხელს უწყობს უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებას, ეწევა უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლს და მე, როგორც აღნიშნული კომიტეტის წევრი, შესაბამისად ვმონაწილეობდი ყველა აქტივობაში.

ასევე ვმონაწილეობდი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამების შემუშავებაში, განხილვასა და დამტკიცებაში.

კომიტეტის სამუშაო გეგმა მოიცავდა, როგორც კანონშემოქმედებით, ასევე უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და ჯანდაცვის სისტემაში შემავალი დაწესებულებების ხელმძღვანელთა ანგარიშებს. ასევე სხდომაზე პერიოდულად განიხილებოდა სხვადასხვა აქტუალური საკითხები.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სულ 8 სხდომა და დავესწარი ყველა სხდომას, მათ შორის:

- კომიტეტის სხდომა – 6;
- კომიტეტების ერთობლივი სხდომა – 2;
- სულ კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა 28 საკითხი, აქედან:
- კანონპროექტი 11;

სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია - 17.

კომიტეტის მიერ სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივის თაობაზე მომზადებულია 8 დასკვნა.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის სხდომებზე მოსმენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მისი ქვემდებარე დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები. კერძოდ:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინფორმაცია სამინისტროს 2023 წელს გაწეული მომსახურებისა და 2023 წლის ღონისძიებების შესახებ;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ყოველკვარტალური ანგარიში (2023 წლის I, II და III კვარტალი);
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის უფროსის ინფორმაცია მიმდინარე და 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

- 2023 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა;

- 2024 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა.

- სეზონური ვირუსული ინფექციები - მიმდინარეობა, გამოწვევები და პრევენციული ღონისძიებების (ვაქცინაცია) თაობაზე

- სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები - სოციალურად დაუცველთა შეფასების კრიტერიუმების შესახებ;

- პირველადი ჯანდაცვის სექტორში არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და სამომავლო გეგმების თაობაზე;

- ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პირთა, გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხების შესახებ;

- დასაქმების სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

- ეკომიგრანტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ;

საანგარიშო პერიოდში ვაწყობ შეხვედრებს მოსახლეობასთან, როგორც პირადი, ასევე სამსახურებრივ გარემოში და კომპეტენციის ფარგლებში, ვცდილობ აღმოვუჩინო დახმარება. შემოსული ზეპირი და წერილობითი განცხადებები ეხება, როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასევე სხვადასხვა სოციალურ საკითხებს.

მოგეხსენებათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი, ეწევა საკანონმდებლო საკითხების წინასწარ შემუშავებას, განხილვასა და უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომისათვის მომზადებას, ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს უწევს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას.

როგორც საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის წევრმა, მითითებულ პერიოდში, მონაწილეობა მივიღე კომიტეტის მიერ შესრულებულ სამუშაოებში, კერძოდ:

ჩატარებული 13 სხდომიდან ვესწრებოდი 12-ს, მომზადდა 12 დასკვნა და მოსმენილი იქნა 8 ანგარიში.

მითითებულ პერიოდშივე, ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდი გერმანიის ფედარაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ბრანდერბურგში სამმხრივი შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით. შეხვედრა ემსახურებოდა საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას.

ლაშა სირაბიძე